

როგორ ემზადებიან კომაროველები ქვიზებისთვის?

კომაროვის სკოლაში Research Club-მა ჩაატარა კვლევა თემაზე: „როგორ ემზადებიან კომაროველები ქვიზებისთვის“. ჩვენი კვლევის მიზანი იყო გამოეკვლია, თუ როგორ ემზადებიან კომაროველები გამოცდებისთვის. გვსურდა გაგვეჩვენა, რა სირთულეებს ხვდებიან მზადებისას და როგორი დამოკიდებულება აქვთ ქვიზების მიმართ. კვლევის შედეგად მივიღეთ საინტერესო პასუხები და მოგვეცა შესაძლებლობა გვეჩარმოებინა სტატისტიკა სკოლის მოსწავლეების შესახებ.

კვლევაზე მუშაობდნენ:


ნინა ჩხიკვაძე

გიორგი ზატუაშვილი


ლიზი ბრელიძე

28.04.2022


მიიჩნევთ თუ არა ქვიზებს სასარგებლოდ?




კვლევის შედეგად კომაროვის მოსწავლეების 74,3% მიიჩნევს ქვიზებს სასარგებლოდ, მათი აზრით გამოცდები “მეტის” კეთების უნარს უვითარებენ და შესაძლებლობას აძლევენ მომავალი მიზნების უკეთესად ჩამოყალიბებაში. ნაკლებად ნერვიულობენ სხვა პროექტებში ჩართვისას. მოსწავლეთა ნაწილი ასევე ფიქრობს, რომ ქვიზები ცოდნის შემოწმების ერთ-ერთი წარმატებული ხერხია, რაც ამარტივებს, როგორც ბავშვებისთვის, ასევე მასწავლებლისთვის გაუგებარი თემების პოვნას და უკეთესად დამუშავებას.




განვლილი მასალის გადასამეორებლად, მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 84% ძველ ქვიზებს აკეთებს, ხოლო 74% ამოცანათა კრებულებს ანიჭებს უპირატესობას (თოფურია, გედენიძე, ღვაბერიძე და ა.შ.), თუმცა ხშირად მოსწავლეები ორივე წყაროს მიმართავენ.



მიუხედავად იმისა, რომ ქვიზები ჯერ ფიზიკაში ტარდება, მოსწავლეების 76% მათემატიკას უფრო მეტ დროს უთმობს.




ქვიზზე მაღალი ქულის მიღებისთვის საუკეთესო გზად მოსწავლეთა 63% ინტენსიურ მეცადინეობას, ძველი ქვიზების გაკეთებას და ამოცანების რამდენჯერმე გარჩევას მიიჩნევს, თუმცა ის ფაქტორი რომ საიტზე არ არის 2018 წლის შემდეგ ჩატარებული ქვიზების ნიმუშები ატვირთული, მოსწავლეებს სირთულეებს უქმნის ახალ ქვიზებთან წვდომისას.



ასევე მოსწავლეთა 40% საკმაოდ ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს ცენტრალიზებულ წერებსა და საკონტროლოებს, რომლებიც ხშირად ქვიზის წინა კვირას ტარდება. ისინი ხაზს უსვამენ იმ ფაქტსაც რომ დანარჩენ საგნებში არსებული წერებისთვის მასალის გადამოკრების გამო, ნაკლები დრო რჩებათ ქვიზებისთვის მოსამზადებლად, რაც მათ შედეგებს აუარესებს. გარდა ამისა, ბევრჯერ შეგხვდა კომენტარი, რომელშიც საუბარი იყო ინტერნეტისა და კომპიუტერული გამოსახულების პრობლემაზე. ბავშვები, რომლებიც ჯანმრთელობისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო იმყოფებიან ონლაინ რეჟიმის სწავლაზე, ხედავენ არც თუ ისე გარჩევად გამოსახულებას და ხშირ შემთხვევაში ვერ გეგულობენ, თუ რა მიმდინარეობს კლასში.

კვირაში რამდენ საათს უთმობთ სკოლის გარეთ ფიზიკის/მათემატიკის მეცადინეობას?



ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კომაროვის მოსწავლეები ყველაზე მეტ დროს, კვირაში 35 საათს, უთმობენ, როგორც მათემატიკისთვის, ასევე ფიზიკისთვის მომზადებას. ისინი ყველაზე ხშირად იყენებენ ძველ ქვიზებსა და ამოცანათა კრებულებს, ხოლო მათი უმრავლესობის აზრით, სასურველი იქნებოდა მეტ ტესტებთან და ამოცანებთან წვდომა.

ასევე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ:

- 1) სხვა საგნებში არსებული წერები გადანაწილდეს და ერთად არ მოექცეს ქვიზის წინა კვირის პერიოდში;
- 2) შემცირდეს ცენტრალიზებული წერების რაოდენობა ან შეიცვალოს მათი ჩატარების დროის პერიოდი;
- 3) გაუმჯობესდეს ინტერნეტისა და კომპიუტერული გამოსახულების ხარისხი.